მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №39

2022 წლის 29 აპრილი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე ქონებიდან 21.01კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ: 41.09.04.094.01.508), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის

თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქალაქ მარტვილის საგანმანათლებლო რესურცენტრის 2022 წლის 4 აპრილის MES0220000344136 წერილის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადასცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე (ს/კ 41.09.04.094.01.508) უძრავი ქონებიდან 21.01 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.
2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უზუფრუქტის წესით გადაცემული არასაცხოვრებელი ფართი 21.01 კვ.მ (ს/კ 41.09.04.094.01.508) დაუბრუნდეს მესაკუთრეს მარტვილის მუნიციპალიტეტს.
3. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების გადაგზავნა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში.
4. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. N247)

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა